საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №765
2021 წლის 29 სექტემბერი

ქ. თბილისი

„დასრულებულ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №220 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„დასრულებულ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №220 ბრძანებით (სსმ III, 04/12/2009, №149, მუხ.1759) დამტკიცებულ დასრულებულ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის წესსა და პირობებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2**

დასრულებულ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ელექტრონული ფორმით სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით გადაეცემა აღსრულების ეროვნული ბიუროს სერვისებისა და ბრენდის განვითარების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებას, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის მიღებას, გამოყენებას და, აუცილებლობის შემთხვევაში, მუდმივად შენახვისათვის გადაცემას.“.

2. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 3**

სააღსრულებო ბიუროების მიერ დასრულებულ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არქივირდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 30 სექტემბრის №221 ბრძანებით დამტკიცებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ ინსტრუქციის“ (შემდგომში – ინსტრუქციის) მე-12 მუხლის შესაბამისად.“.

3. მე-4 მუხლი ამოღებულ იქნეს.

4. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 6**

დასრულებულ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტების მატერიალურად შენახვის ვადები კატეგორიების მიხედვით:

№	აღსრულების ქვემდებარე აქტების აღსრულებასთან დაკავშირებული დასრულებული სააღსრულებო წარმოებები	შენახვის ვადა
1	კერძო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო	10 წ.

	გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება	
2	სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება და ბრძანება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში	10 წ.
3	სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ფიზიკური ან/და იურიდიული პირისათვის სასჯელის სახით ჯარიმის ან/და ქონების ჩამორთმევის დაკისრების შესახებ	10 წ.
4	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში და ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის, აგრეთვე კერძო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სახელმწიფო ბაჟის დაკისრების შესახებ	3 წ.
5	გადახდის ბრძანება და ბრძანება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე	5 წ.
6	არბიტრაჟის გადაწყვეტილება	5 წ.
7	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს მიერ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება	10 წ.
8	იმ არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით	5 წ.
9	სხვა სახელმწიფოს სასამართლოს, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომელთა აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით	10 წ.
10	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციის თანახმად სავალდებულოა საქართველოსათვის	10 წ.
11	სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელთა საქართველოდან გაძევების შესახებ	10 წ.
12	რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის გადაწყვეტილებები	5 წ.
13	საქართველოს საერთო სასამართლოს თავმჯდომარის ან სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულება სასამართლოში წესრიგის დამრღვევი პირის დაჯარიმების შესახებ	3 წ.
14	გირავნობის მოწმობა	5 წ.
15	სანოტარო აქტი (ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი)	5 წ.
16	ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე	3 წ.
17	დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ	3 წ.
18	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება უცხოელთა საქართველოდან გაძევების შესახებ	5 წ.
19	ყველა სხვა სახის აღსასრულებელი დოკუმენტი	5 წ.“.

5. მე-9 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება, გარდა პირველი მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2021 წლის 4 ოქტომბრიდან.